საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება

თბილისი

MES 4 21 0000840734

31/08/2021

2020-2021 სასწავლო წლის სრული ზოგადი განათლების ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეების სიის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის №118 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის" 37-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, „წარმატებულ მოსწავლეთა წახალისების პროგრამის" დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის N1245267 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „წარმატებულ მოსწავლეთა წახალისების პროგრამის" „წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამის" საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 26 აგვისტოს N823157 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2020-2021 სასწავლო წლის სრული ზოგადი განათლების:
ა) ოქროს მედალოსანი მოსწავლეების სია ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;

ბ) ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეების სია ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრი მიხეილ ჩხენკელი